

შრომის ბაზრის ანალიზი ციფრული  
მენეჯმენტის სამაგისტრო  
პროგრამისთვის  
2020, მაისი

## შესავალი

დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნების შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები ციფრული უნარებზე არსებული მოთხოვნის კუთხით.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნა ვაკანსიების პორტალზე jobs.ge -ზე 2019 წლის განმავლობაში გამოცხადებული განცხადებები, დამსაქმებელთა მოთხოვნები, მოთხოვნადი უნარები ციფრული მენეჯმენტის კუთხით.

ასევე შესწავლილი იქნა მეორადი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის ქვეყნების დასაქმების ბაზრის ტენდენციებს, პროგნოზებს.

## გამოყენებული მეთოდები

### სამაგიდო კვლევა

მეორადი კვლევის ფარგლებში დავინტერესდით ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებული დასაქმების ბაზრის თემაზე გამოქვეყნებული მასალებით. გამოვიყენეთ ორი ძირითადი წყარო:

- CEDEFOP (European Center for the Development of Vocational Training)-ის მიერ ჩატარებული კვლევის „European Skills and jobs survey“ შედეგები, რომლებიც გამოქვეყნებულია European Skills Panorama-ს პორტალზე<sup>1</sup>
- No longer Optional: Employer Demand for Digital Skills, Burning Glass Technologies<sup>2</sup>

ვაკანსიების პორტალზე ([www.jobs.ge](http://www.jobs.ge)) გამოქვეყნებული განცხადებების ანალიზი

### მეთოდოლოგიური მიდგომა

ჩვენი კვლევის ფარგლებში ციფრული ტექნოლოგიების უნარების კლასიფიკაციისთვის გამოვიყენეთ Burning Glass Technologies<sup>3</sup>-ის მიდგომა, რის მიხედვითაც ციფრული ტექნოლოგიების უნარები დაყოფილია ორ მთავარ ჯგუფად/კლასტერად: ბაზისური და სპეციფიური უნარები. ბაზისურ ციფრულ უნარები ესაა ე.წ. პროცესების პროდუქტულობისთვის საჭირო პროგრამები (მაგ.: Ms Word, Ms Excel, Power Point, Outlook, ERP, SAP). სპეციფიური ციფრული უნარები თავის მხრივ დაყოფილია 7 ჯგუფად (იხ. ცხრილი 1.) :

- პროგრამირება
- კომპიუტერული ტექნიკისა და ქსელების მხარდაჭრა
- მონაცემთა ანალიზი
- CRM
- ციფრული მარკეტინგი
- საწარმოო ტექნოლოგიები

<sup>1</sup> Skills Forecast: key EU trends to 2030, <https://skillspanorama.cedefop.europa.eu/en/about-us>

<sup>2</sup> No longer Optional: Employer Demand for Digital Skills, Burning Glass Technologies, 2019

<sup>3</sup> Burning Glass Technologies არის საკონსულტაციო კომპანია, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენებით აანალიზებს დასაქმების ბაზრის ტენდენციებს. მილიონობით ვაკანსიების გაანალიზების საშუალებით კომპანია აკეთებს პროგნოზებს რა სახის საქმიანობები, პროფესიები უნარები იქნება უახლოეს მომავალში მოთხოვნადი შრომის ბაზარზე. მის შედეგებს იყენებენ როგორც სამთავრობო უწყებები, ისე პოლიტიკის მკვლევარები, კორპორაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (წყარო: [www.burning-glass.com](http://www.burning-glass.com))

Jobs.ge ზე განთავსებულ ვაკანსიებში დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილი უნარები გავანალიზეთ ცხრილში მოცემული ციფრული უნარების ჯგუფების მიხედვით.

**ცხრილი 1 ციფრული ტექნოლოგიური უნარების კლასიფიკაცია (კლასტერი არის უნარები რომლებიც შრომის ბაზარზე ხშირად ერთად გვხვდება) (მივუთითო კვლევა)**

	უნარების კლასტერი	აღწერა	დასაქმების ტიპები
<b>ბაზისური</b>	ე.წ. პროცესების პროდუქტიულობისთვის საჭირო პროგრამები	MS word, Ms Excel, ERP, Project Management Software, SAP	ადმინისტრაციული საქმიანობა  მომხმარებელთა მომსახურება
<b>სპეციფიური</b>	პროგრამირება	პროგრამირების ენები: Python, Java, SQL...	მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი პროგრამისტი
	კომპიუტერული ტექნიკისა და ქსელების მხარდაჭრა	კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა, ქსელების გამართვა	ქსელების ადმინისტრატორი პროგრამისტები აიტი მომხმარებელთა მხარდამჭერის ტექნიკოსი
	მონაცემთა ანალიზი	მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები, R, STATA, Big data, Data Science	<ul style="list-style-type: none"> <li>• მენეჯმენტი, კონსულტანტები</li> <li>• ეკონომისტები</li> <li>• სტატისტიკოსების</li> <li>• ბიზნეს ანალიტიკოსები</li> </ul>
	ციფრული დიზაინი	გრაფიკული დიზაინი ონლაინ რეკლამის უნარები	მარკეტერი გრაფიკული დიზაინერები
	CRM	CRM –ის პროგრამები	გაყიდვების მენეჯერები კომერციული დირექტორი მომხმარებელთა მომსახურების მენეჯერი
	ციფრული მარკეტინგი	ციფრული მარკეტინგის ტექნოლოგიები (სოციალური მედიის პლატფორმები) ანალიტიკური უნარები (Google Analytics)	მარკეტინგის სფეროს პროფესიონალები გაყიდვების მენეჯერები HR მენეჯერები
	საწარმოო ტექნოლოგიები	საინჟინრო პროგრამები	სამოქალაქო ინჟინერი ხარისხის კონტროლის მენეჯერი საწარმოში საწარმოო ხაზების ოპერატორები

**კვლევის ძირითადი შედეგები**

ვაკანსიების ანალიზის შედეგები

## 1. ბაზისური ციფრულ უნარებზე მოთხოვნა

ვაკანსიების ანალიზის მიხედვით 2019 წელს გამოცხადებული 16540 ვაკანსიიდან 52%-ში დამსაქმებელი ითხოვს ბაზისური ციფრული უნარების ცოდნას (Ms Word, Ms Excel, Ms Power Point...). მაღალი მენეჯერული პოზიციებისთვის, დამსაქმებელი თავისთავად გულისხმობს ბაზისური ციფრული უნარების ქონას, და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში არც უთითებს მათ აუცილებლობას. ვაკანსიების განცხადებებში ბაზისური ციფრული უნარების მოთხოვნა ჩნდება უფრო დაბალ პოზიციებზე. ამასთან პრაქტიკულად არ არის საქმიანობის სფერო ან ეკონომიკის სექტორი, სადაც ეს მოთხოვნა არ არის აუცილებელი მინიმუმი.

## 2. სპეციფიური ციფრული უნარები

ჩვენი კვლევის ინტერესს უფრო მეტად წარმოადგენდა ე.წ. სპეციფიური ციფრული უნარებზე მოთხოვნის შესწავლა საქართველოს დასაქმების ბაზარზე.


მეთოდოლოგიურ მიდგომაში ახსნილი თითოეული სპეციფიური ციფრული უნარების კლასტერისთვის დავითვალეთ ვაკანსიების რაოდენობა, კონკრეტულად რა პროგრამების ცოდნას ითხოვენ ყველაზე ხშირად ამ კლასტერში, და იქ სადაც შესაძლებელი იყო შეთავაზებული ხელფასების დიაპაზონი.

### 2.1 პროგრამირება

2019 წელს სულ გამოქვეყნდა პროგრამისტის 425 ვაკანსია, რაც გამოცხადებული ვაკანსიების 2.6%-ია.

დეველოპერებისთვის შეთავაზებული ხელფასის დიაპაზონი საკმაოდ დიდია. ხელფასის ქვედა ზღვარი 1500 ლარია, ყველაზე ხშირად დამსაქმებლები დეველოპერებს ვაკანტურ ადგილებზე სთავაზობენ 3500-5000 ლარიან ხელფასს, თუმცა იმ შემთხვევაში როცა დამსაქმებელი გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ დეველოპერს ეძებს, შეთავაზებული ანაზღაურება 4000 ევროს აღწევს.

დიაგრამაზე მოცემულია ყველაზე ხშირად მოთხოვნილი პროგრამული ენები.



პროგრამისტებზე მოთხოვნა არის არა მხოლოდ ისეთ კომპანიებში რომლებიც ორიენტირებულნი არიან პროგრამული უზურველყოფაზე და IT გადაწყვეტილებებზე, არამედ ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში მოქმედ კომპანიებში:

საკონსულტაციო საქმიანობა:

- IT გადაწყვეტილებები
- აუდტიროტული მომსახურება
- ERP სისტემების კონსულტაცია
- მარკეტინგული მომსახურება
- ვებ გვერდების დამზადება / ვებ სტუდია
- სოციალური მედია მარკეტინგი/ციფრული მარკეტინგის სააგენტოები

- მობილური აპლიკაციების შექმნა
- რეკრუტიგნი
- შენობების მართვის სისტემებით მომსახურება
- ინტერნეტ ვაჭრობა

ფინანსური სექტორი:

- ბანკები
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები
- სადაზღვევო კომპანიები
- ფულადი გზავნილების კომპანია
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერი კომპანიები
- კრიპტოვალუტით ვაჭრობა
- საინვესტიციო კომპანიები

განათლება

ჯანდაცვა

ელექტროენერჯის წარმოება

კვებითი მომსახურება

- რესტორნები, კაფეები

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

- სადისტრიბუციო კომპანიები
- საერთაშორისო გადაზიდვები

ინფორმაცია და კომუნიკაცია

- საგამომცემლო საქმიანობა
- ტელეკომუნიკაცია
- სარეკლამო კომპანია

ტურიზმი

- ონლაინ ჯავშნების სისტემა
- ტურისტული კომპანიები

საცალო და საბითუმო ვაჭრობა

- ვაჭრობა საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკით
- კვების პროდუქტებით და სასმელებით ვაჭრობა
- ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით
- სპორტული საქონლით ვაჭრობა
- ტანსაცმლით და ფეხსაცმლით ვაჭრობა
- სამშენებლო და სარემონტო მასალებით ვაჭრობა
- ნავთობ პროდუქტებით ვაჭრობა

ხელოვნება, გართობა და დასვენება

- კინოთეატრები
- ფიტნეს კლუბები
- აზარტული თამაშები

მშენებლობა

დამამუშავებელი წარმოება

- ფარმაცევტული კომპანია
- კვების პროდუქტების წარმოება

სახელმწიფო მმართველობა

## *2.2 კომპიუტერული ტექნიკისა და ქსელების მხარდაჭერა*

კომპიუტერული ტექნიკისა და ქსელების მხარდაჭერის უნარები საჭიროა კომპიუტერული ქსელების აწყობისა და გამართული მუშაობის უზრუნველყოფისთვის (კონფიგურაცია, სისტემები, უსაფრთხოება, და ქსელების მომხმარებლების ტექნიკური მხარდაჭერა).

სულ 2019 წლის განმავლობაში 65 ვაკანსია გამოცხადდა კომპიუტერული ტექნიკისა და ქსელების მხარდაჭერის სპეციალისტზე. დამსაქმებლები ითხოვენ შემდეგი სახის ცოდნას:

- კომპიუტერული ტექნიკისა და ოპერაციული სისტემების ცოდნა
- Comptia Network+ სერტიფიკატი
- ქსელების ცოდნა (TCP/IP, LAN)
- ქსელის დაგეგმვა/მონტაჟის ცოდნა
- პერიფერიულ მოწყობილობებთან მუშაობის ცოდნა
- საკაბელო სისტემების ცოდნა
- სერვერთან მუშაობა (backup/restore)
- Cisco-ს ან Juniper -ის ქსელის კომპონენტებთან მუშაობა

იმ განცხადებების მიხედვით სადაც მითითებულია ხელფასი, ქსელების ადმინისტრატორის პოზიციაზე დამსაქმებლები სთავაზობენ 1500-დან 3000 ლარამდე ანაზღაურებას.

## *2.3 მონაცემთა ანალიტიკოსი*

მონაცემთა ანალიტიკოსები საერთაშორისო ბაზარზე ერთ ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა.

მონაცემთა ანალიტიკოსებზე საქართველოშიც გაჩნდა მოთხოვნა ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში და დიდი ალბათობით მათზე მოთხოვნა სწრაფად გაიზრდება. 2019 წელს სულ 15 ვაკანსია გამოცხადდა მონაცემთა ანალიტიკოსზე.

მონაცემთა ანალიზის უნარი გულისხმობს მონაცემების ანალიზის ცოდნას ბიზნესის, სამეცნიერო და ტექნიკური პრობლემების გადაჭრისთვის. მონაცემთა ანალიზის



უნარის კლასტერში გაერთიანებულია მონაცემთა დამუშავება, ვიზუალიზაცია, მონაცემების მართვა, სტატისტიკური პროგრამების ცოდნა, მონაცემთა გამოყენებითი ანალიზი. შედარებით ახალი უნარია მანქანური დასწავლა და ხელოვნური ინტელექტი (Machine Learning, Artificial Intelligence).

მონაცემთა ანალიტიკოსის პოზიციებზე ქართველი დამსაქმებლები ითხოვენ შემდეგი ტიპის ცოდნას/უნარებს:

- BI ინსტრუმენტები
- პროგრამული ენების ცოდნა
- სტატისტიკური ანალიზი
- Data mining
- Machine learning
- SQL / T-SQL-ის ცოდნა

#### 2.4 ციფრული მარკეტინგი

ციფრული მარკეტინგის უნარები გულისხმობს ონლაინ მარკეტინგს და რეკლემირების, გაყიდვების წახალისება ონლაინ პლატფორმებზე, მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვა სოციალური მედიის საშუალებით, ვებ კონტენტის შექმნა და ვებ ტრეფიკის ანალიზი ასევე შედის ციფრული მარკეტინგის კლასტერში.

2019 წელს ციფრული მარკეტინგის პოზიციაზე გამოცხადდა 30 ვაკანსია, თუმცა ციფრული მარკეტინგის უნარებს დამსაქმებლები ითხოვენ ზოგადად მარკეტინგის მენეჯერების, PR მენეჯერების პოზიციებზეც. ამიტომ ანალიზისთვის ავიღეთ უფრო ფართო ჯგუფი და არა მხოლოდ ის ვაკანსიები რომლებიც „ციფრული მარკეტინგის მენეჯერის/ სპეციალისტის“ სახელწოდებით გამოქვეყნდა.

სულ 2019 წელს მარკეტინგის და PR მენეჯერებზე გამოცხადდა 230 ვაკანსია. ამ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების 85%-ში დამსაქმებლები უთითებენ ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების ცოდნას:

- Facebook გვერდის მართვა
- Facebook სარეკლამო კამპანიის მართვა (Facebook Insights and Metrics)
- LinkedIn Ads
- Google analytics-ის ინსტრუმენტების ცოდნა
- Google Ads, Google Ads-ის Remarketing ინსტრუმენტი
- საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია (SEO)
- გრაფიკული პროგრამები (Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Corel Draw, Adobe Indesign, Adobe After Effects )

ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობად ითვლება შემდეგი უნარები:

- ERP სისტემების ცოდნა
- 3D დიზაინის პროგრამის ცოდნა
- ვიდეო კონტენტის შექმნა

მარკეტინგის მენეჯერებზე გამოცხადებულ ვაკანსიებზე დამსაქმელები კანდიდატებს სთავაზობენ 1000-დან 2500 ლარამდე ხელფასს.

## 2.5 ციფრული დიზაინი

ციფრული დიზაინერის / გრაფიკოსის პოზიციაზე მოთხოვნილი უნარების ნაწილი იმეორებს ციფრული მარკეტინგის უნარებს.

2019 წლის განმავლობაში 258 ვაკანსია გამოცხადდა სხვადასხვა ტიპის დიზაინერზე (გრაფიკული დიზაინერი, ინტერიერის დიზაინერი, არქიტექტორ/დიზაინერი, დამკაბადონებელ/დიზაინერი, 3D გრაფიკოსი, UI Design/Ux Design).

ამ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიებზე დამსაქმებლები ითხოვენ შემდეგი ტიპის ცოდნას:

- გრაფიკული დიზაინის პროგრამები (Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Corel Draw, Adobe Indesign, Adobe After Effects )
- ვებ გვერდებისთვის გრაფიკული დიზაინი
- ArchiCAD
- AutoCad
- 3D MAX
- Adobe Animate cc
- Adobe XD
- SketchUp

UI/UiX დიზაინერების შემთხვევაში გრაფიკული დიზაინის ცოდნასთან ერთად სამუშაოს მაძიებელს მოეთხოვება:

- Front-End პროგრამირების ენის ცოდნა - HTML5, CSS3,
- ინფორმაციული არქიტექტურისა და დიზაინ პატერნების ცოდნა
- დიზაინ პროგრამებიდან ერთ ერთის ცოდნა - Axure, Pixate, Principle
- IOS/Android პლატფორმების გაიდლაინების ცოდნა
- UX კვლევების და მოხმარებლის ქცევაზე დაკვირვების გამოცდილება
- ინტერფეისის სტრუქტურის შექმნა
- Wireframing და UI პროტოტიპების შექმნა

## 2.6 CRM - მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა

მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემები მიმართულია კომპანიის და არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთან ურთიერთობაზე, მომხმარებელთა ქცევის ისტორიის შესახებ ინფორმაციის ანალიზის მიზანია მომხმარებლის შენარჩუნება, გაყიდვების გაზრდა. CRM სისტემების მაგალითებია Oracle, SAP, Navision...

2019 წლის განმავლობაში გამოცხადებულ ვაკანსიებში CRM სისტემების ცოდნა მოთხოვნილია 45 შემთხვევაში. როგორც CRM სისტემებში მუშაობის ცოდნას ითხოვენ კომერციული დირექტორების, გაყიდვების მენეჯერების, მონაცემთა ბაზების ანალიტიკოსების პოზიციებზე.

## *2.7 საწარმოო ტექნოლოგიები*

საწარმოო ტექნოლოგიების ავტომატიზირება გულისხმობს კომპიუტერულად მართვადი სისტემების გამართვას, რაც ხელით შრომას ამცირებს და ზრდის პროდუქტულობას. ამ ტიპის ცოდნას უნდა ფლობდნენ სამოქალაქო ინჟინრები, წარმოების ინჟინრები..

2019 წლის ვაკანსიების ბაზაში ასეთი უნარების მოთხოვნით განცხადება არ მოიძებნა, თუმცა ინჟინრების (სამოქალაქო ინჟინერი, წყლის სისტემების, მშენებელ ინჟინერი...) ვაკანსების 50% ზე მეტ შემთხვევაში დამსაქმებელი ბაზისური ციფრული უნარების გარდა ითხოვენ საპროექტო კომპიუტერული პროგრამების ცოდნას (Auto Cad, Archi Cad).


## **მეორადი ინფორმაციის ანალიზი**

კვლევები რომლებიც სამუშაო ძალის უნარების მიმართ არსებული მოთხოვნებს სწავლობს ევროკავშირის ქვეყნებში, აჩვენებს რომ ციფრული ტექნოლოგიების ფლობა უკვე აღარ არის მხოლოდ საშუალო ან მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალისთვის საჭირო. პრაქტიკულად ყველა სექტორში და ყველა დონეზე დამსაქმებელი ითხოვს ამათუიმ სახის ციფრული ტექნოლოგიების ცოდნას.

დიაგრამა 1.ზე ნაჩვენებია რომ ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა სექტორში შეინიშნება დასამქების მაჩვენებლის ზრდა.

*დიაგრამა 1 დასაქმების მაჩვენებლის ზრდა მაღალ ტექნოლოგიური საქმიანობებში*

დასაქმების მაჩვენებლის ზრდა მაღალი ტექნოლოგიური საქმიანობების სფეროში (EU ქვეყნები)



Burning Glass Technologies -ის 2019 წელს გამოქვეყნებულ კვლევის ანგარიშში “No longer Optional: Employer Demand for Digital Skills” გაანალიზებულია ასობით მილიონი ონლაინ ვაკანსიების განცხადებები. ქვემოთ წარმოგიდგენთ ანგარიშის ძირითად დასკვნებს

- ყოველი ათიდან ცხრა ონლაინ გამოცხადებულ ვაკანსიაში მოთხოვნილია ციფრული უნარების ქონა.
- პროგრამირების უნარები არის ყველაზე მოთხოვნილი შრომის ბაზარზე.
- ციფრული მარკეტინგის და CRM (Customer Relationship Management) სისტემების ცოდნაზე მოთხოვნა არის ყველაზე მზარდი.
- ციფრულ უნარებზე მოთხოვნა ცვლის უკვე ჩამოყალიბებულ პროფესიების მიმართ დამსაქმებლების მოთხოვნას, მაგალითად მარკეტინგის ანალიტიკოსის პოზიციაზე მოითხოვება მონაცემთა ბაზებთან მუშაობის და ანალიზის უნარი
- სპეციფიური ციფრული უნარები გასცდა საკუთრივ IT სფეროს, ამ უნარების მოთხოვნის 68% არის IT სფეროს მიღმა, ყველაზე სწრაფად მზარდი სპეციფიური ციფრული უნარების მოთხოვნაა მონაცემთა ანალიზისა და ციფრული მარკეტინგზე. ორივე შემთხვევაში ეს არაა ტრადიციული IT როლები.

- სამუშაოს მაძიებლების მიერ ციფრული უნარების განვითარება ზრდის შანსებს რომ უფრო მაღალი ანაზღაურება მიიღოს დასაქმების ადგილზე და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამცირებს რისკს რომ სამუშაო ადგილზე ის გახდეს უსარგებლო, სამუშაო პროცესის ავტომატიზირების შემთხვევაში და აძლევს მას ტრანსფერულ უნარებს გადავიდეს ახალ უფრო კარგად ანაზღაურებად სამსახურში, პოზიციაზე.

## დასკვნა

ქართულ დასაქმების ბაზარზე 2019 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი და უცხოური კვლევების მიმოხილვა აჩვენებს რომ ციფრული უნარები მოთხოვნილია ეკონომიკის ყველა სექტორში და საქმიანობის მრავალფეროვან სფეროებში, როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირის ქვეყნებში.

ციფრული უნარების საჭიროება დიდი ხანია გასცდა IT სფეროს. ამათუიმ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა ციფრული უნარების ჯგუფს / კლასტერს ფლობდეს დასაქმებული /სამუშაოს მაძებელი, რაც ნიშნავს რომ მხოლოდ ერთი პროგრამის ან პლატფორმის ცოდნა უკვე აღარაა საკმარისი, ბაზისური ციფრული უნარების გარდა სხვადასხვა პოზიციებზე მოითხოვება ციფრული უნარების მთელი ჯგუფი. ამასთან რაც უფრო მეტი მომიჯნავე ცოდნა აქვს სამუშაოს მაძებელს, იზრდება დასაქმების შანსიც და ანაზღაურებაც.

ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა დასაქმებულთა ფართო სპექტრისთვის იქნება შესაფერისი, ესენია კომერციული დირექტორები, გაყიდვების მენეჯერები, ციფრული მარკეტინგის მენეჯერები/სპეციალისტები, მომხმარებელთა ურთიერთობაზე პასუხისმგებელი მენეჯერები, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები.